საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გიორგი კედრენე

გიორგი კედრენე (Geōrgios ho Kedrēnos), XI ს. ბიზანტიელი ისტორიკოსი.

მისი თხზულება „ისტორიული მიმოხილვა“ წარმოადგენს მსოფლიო ისტორიას ქვეყნის დასაბამიდან 1059-მდე, იგი კომპილაციური ხასიათისაა. გ. კ-ს საინტერესო ცნობები აქვს ქართველების შესახებ. აღწერს ლაზიკის ურთიერთობას ბიზანტიასა და ირანთან VI ს-ში; განსაკუთრებით მნიშვნელოვანია X–XI სს-ის ცნობები საქართველოს შესახებ: ბასილი II-ის ლაშქრობები საქართველოში, გიორგი I-ის მეფობა და ბაგრატ IV-ის ბიზანტიასთან ურთიერთობა; ლიპარიტ IV ბაღვაშისა და ბაგრატ IV-ის კონფლიქტები. ეს ცნობები ავსებს და აზუსტებს ქართ. წყაროთა მონაცემებს.

თხზ.: Ioannis Scylitzae ope, ed. I. Bekker, v. 1–2, Bonnae, 1838–39;[წგ.]: გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 5, თბ., 1963.

ნ. ლომოური